ქ. თბილისის მერიის სახარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

02.10.2013

გაცემის თარიღი

02.10.2013

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : აი-ემ-ჯი დეველოპმენტი 404446649

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1164100

გასაჩივრების წესი : გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1164100

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, აბაშიძის ქუჩა N21ა–ის მიმდებარედ საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით დადგენილი მოძრაობის უსაფრთხოების სქემის და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
2. განმცხადებელმა უზრუნველყოს:
ა) აბაშიძის ქუჩა N21ა-ის მიმდებარედ დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოების შეთანხმება შპს "სი-ტი პარკ" (ს/კ:204543770)-თან, ვინაიდან დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება იგეგმება გზის იმ სავალ ნაწილზე, რომელიც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 აპრილის №12.03.603 დადგენილებით (პარკირების რეგულირების მიზნით) გადაეცა შპს "სი-ტი პარკ"-ს.
ბ) ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში წარდგენა, შესათანხმებლად.
3. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 13 (ცამეტი) თვის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება

თბილისი მარჯანის ქუჩა №7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

27.12.2014

გაცემის თარიღი

26.12.2014

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : აი-ემ-ჯი დეველოპმენტი 404446649

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1273390

გასაჩივრების წესი : გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1273390

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია:
ა) შპს "სი-ტი პარკ"-ის (ს/კ:204543770) წერილობითი თანხმობა აბაშიძის ქუჩა N21ა-ის მიმდებარედ დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, ვინაიდან დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება იგეგმება გზის იმ სავალ ნაწილზე, რომელიც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 აპრილის #12.03.603 დადგენილებით (პარკირების რეგულირების მიზნით) გადაეცა შპს "სი-ტი პარკ"-ს.
ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქალაქგეგმარებითი დასკვნა დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.
2. არ დასტურდება არჩეული მომსახურების საფასურის (800 ლარი) გადახდა.
3. ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა, ხოლო ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

"ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების)

თბილისი მარტყოფის ქუჩა №7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge